

თბილისის  
საბავშვო

# საბავშვო





უკრაინა „ჭეჭილისა“

I	იძინე ტკბილათ შენი მეკობრებით—სურათი . . . . .	658
II	მარიამის შობა საღამო, ლექსი შიო მღვიმეჯისა . . . . .	659
III	პავლიკა, საშობაო ამბავი, ტასოსა . . . . .	663
IV	ალილო (ჩვენი ჩვეულებები) გ. დ. ჭრეჭაშვილისა . . . . .	667
V	სასიხარულო შობა, რასისა . . . . .	677
VI	ნუცას ბაღჩა, გ. დ. ჭრეჭაშვილისა . . . . .	685
VII	გაუმადლარი ციყვი (თარგმანი) ანეტა ა—შვილისა . . . . .	687
VIII	გთხოვთ გვიპასუხოთ! . . . . .	692
IX	წვრილმანი: გამოცანები, ზმნა და რებუსი . . . . .	693
X	კურდღელი, ლექსი შიო მღვიმეჯისა . . . . .	695
XI	საშობაო საჩუქრები, მოთრობა ედისონ გიბსონისა თარგმ. ეკ. მესხისა . . . . .	697
XII	ორი რაინდი, ზღაპარი (დასასრული) გ. ჯ—ძისა . . . . .	707
XIII	ოსმალეთი და მისი შინაური ცხოვრება (შემდ. იქნება) . . . . .	713
XIV	მთელი წლის სარჩევი . . . . .	716

ს ა რ უ ქ ა რ ი

„კუნფულა“

დაიბეჭდება ამ იანვარში და თვის ბოლოს დაურიგდება იმ ხე-  
ლის მომწერლებს, ვისაც 1914 წ. ხვედრი ფული სრულათ  
აქვთ შემოტანილი.



„ჯეჯილ“-ზე

მიიღება ხალის მოღვაწე

1915 წლისა.



# საქმაწვილო ნახატებიანი ქუჩნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო.  
ი. დ.

დეკემბერი, 1914 წ.

თბილისში იმეზ' ოფუიბტ. ცმისი

◆ წელიწადი მეოცდახუთე ◆

თ ბ ი ლ ი ს ი  
ელექტრომბეკლავი „ზრომა“, მუხრანის ქ. № 12.  
1914



იძინე ტკბილათ უენი მეგობრებით.

← ელექტრონული ბიბლიოთეკა →

# მარიამის შობა საღამო.



რთობ გაწამაწამია  
ცუგრუმელა მარიამი;  
ძვირათ უღირს ამ საღამოს  
დიასახლისს ერთი წამა.

მერცხალივით დანაფარდობს,  
დაჭქრის, განა ჰროწიალობს,  
თავათ იცის კარგათ ქალმა  
რად ირჯება და რად წვალობს.

დღეს ხომ შობა საღამოა  
ჯვარცმულის და ჩვენის მსხსე-  
ლის,

მარაქაში გარეული,  
დიდებივით სტუმრებს ელის.

მართალია წამებაზე  
არა გაუგონია რა,  
მაგრამ მაინც ეშხადება,  
მტერსაც ნურა ჭქონია რა!

მიხლება თავის კუთსე,  
კოხტათ მორთო შობის სეცა,  
და ხელაჰირის დასაბანათ  
ლიტრასა და საჰონს ეცა.

1989

საქართველო  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



შეძრალეებეც ვერ მოასწრო,  
 დაურეკეს უცბათ ზარი;  
 სუვეველაფერს მოასერსებს  
 მკვირცხლია და ძეგლათ ჩქარა.

გასსნა კარი, შეიწვია  
 ეველა სტუმართ მოუვარულმა  
 და ფათფათით უწეო ცემა  
 ზირ-მომცინარს ქორფა გულმა.

უთხრა: თქვენის მობრძანებისა  
 დიდათ მასინამოვნეთო,  
 თინაჲ, იქით გადაბძანდი,  
 შენ კი ჩემსკენ მოდი, ქეთო.

თქვენ სულ თავში მოექცეით  
 მარუნაჲ და ჰელაგია;  
 აქ ძორცხვობას რა სელი აქვს,  
 შენც მათ მიჰქეე ბიჭო ვა!

კოწო, ფაცვი, ცაცა, ირა,  
 რუსუდანო, სალო, ლილი  
 ტუჩები რომ ჩაკვანწიათ  
 ისე როგორც ვარდის დილი,

მიჰქეეთ ერთი-მეორესა,  
 ნუ შეკრთით, ნუ შემიძინდით,  
 იცქვიტეთ და იფთქრიალეთ,  
 თქვენებურათ გადაფრინდით.

მაუვალაჲ, იქ ჩაინასკვე,  
 გვერდს მოისვი თქვენი გივი;





იშვიათათ რომა მხედავთ  
გემდურით და ძან ვჩივთ.

ელო, არც თუ შენ ათეთრებ,  
ქალო, განა ეგრე უნდა.  
დავიჯერო, გულში ჩაგჩნა  
შარშანდელი თოვლის გუნდა?!

მაგრამ დღეს რომ შობა არი,  
აქ რა უნდა საუკედურებს,  
აბა გამძისიარულდით,  
ნუ ჩამოჭურით ცხვირს და უურებს.

მასპინძელი გულ-უსვი გუავთ,  
ხან ვილხინოთ, ხან ვიგიყოთ,  
განა გუბლანთ მისაკო ვარ  
ნაჟურებსე შეგზატყოთ!..

უჭ, ციცუნაჲ, უკაცრავათ,  
მოდო ცუგოს მოუცუცქდი,  
კურდღელო, რას დაცანცალობ,  
შენ წრეწუნაჲ რაღას უცდი?!



ჩამწკრივდით და ჩამორიგდით,  
თქვენც ალბგი დაიჭირეთ,  
ისე კი ნუ მოიქცევით  
როგორც შარშან — დაიუვირეთ.

ეური უკდეთ ჩვენს სიმღერას  
და ისე სთქვით ჟეგლამ ბანი,  
რიგიანის ეოფა-ქცევით  
უნდა გავხდეთ სხვის საგანი.




ერთმანეთს ხელს ნულარ ახლებთ,  
 დღეს ეკელა თანასწორი,  
 ამას დიდი — დედა ამბობს,  
 არ გეკონოთ ხეში ჭორი.

რა კი მოჩხა რიგსა და წესს  
 და სუეკელას მისცა ბინა,  
 ხელი სტაცა მართალ ფისოს  
 და ნამკის ხეს დაურბინა.

მხიარული შობა არის,  
 დაცქრიალობს მარიაში;  
 სტუმრებს თავს ვერ დაანებებს  
 თუ გინდ მისცეთ დიდი ქრთაში.

ზიო მღვიმელი.






მედიკინაში იყენებენ მისი ფესვს —  
 მისი ფესვი იყენებენ მისი ფესვის მარცხენ  
 იყენებენ მისი ფესვის მარცხენ  
 მისი ფესვის მარცხენ

# მ ა უ ლ ი კ ა

## საშობაო ამბავი



ობის დღესასწაულის წინეთ  
 ონისიძეს ოჯახში ემაწვილებს  
 დიდი ხოჩოლი და მითქმა-მო-  
 თქმა ჭქონდათ. ამათ შობის  
 ღამეს უნდა მიეღოთ სახუქრე-  
 ბი. ამბობდენ ქრისტე ღმერთმა  
 შუალამისას ბავშვების ფესოსა-  
 ცმელებში ჩაწეოს უოველი  
 სიკეთე — ტკბილეულობა და სა-  
 თამაშოები. ათი წლის ჰავლი-  
 კამ კარგათ იცოდა რომ სახუ-  
 ქრებს მათი დედა ჩაუწეობდა  
 ფესოსაცმელებში, მაგრამ თავის  
 ჰატარა და ამქებს ამ ეუბნებოდა. ეველანი სმა მა-  
 ღლა აცხადებდენ თავიანთ სურვილს.  
 — ნეტავი მე მომიტანოს ქრისტე ღმერთმა ისე-  
 თი დედოფალა, რომ თვალებს სუჭავდეს და აღებდეს!  
 სთქვა სუთი წლის ბაბუცამ.  
 — მე სტვირი მინდა, ამბობდა საპი წლის ვანო.



— მე რომ მკითხონ, დასატული ფერადი ვინაა? —  
 ვეკლას მიჩვენია! იმასოდა შვიდი წლის ნიკუმა.

მათი დედა იქვე ახლოს იჯდა და გაჩქარებული  
 ქსოვდა ხელთათმანებს და არასჩინებს ომში გასა-  
 კსაუნათ.

ზავლიკამ ეძმაკურათ გადახედა დედას და თქვა.

— რა სარბასანი ვნასე ძალაზიაში, რა სარბა-  
 სანი! გვერდით ჯარის კაცები უდგენ. ძამა რომ  
 იწერებოდა — ახლა დიდ სარბასნებს მომიყენესო, სწო-  
 რეთ იმის მინაგვანი იქნება, ნეტა ის მე მაჩუქონ!  
 და ხელ.ახლა დედას გადახედა.

ის ქსოვდა და უურბდლებას არ აქცევდა.

— ანგელოზი როგორ ჩასდებს მაგ შენ ჰატარა  
 ფესისაცემლებში იმ დიდ სარბასანს, — უთხრა ბა-  
 ბუცამ.

— ღმერთი — იმის ღმერთია, რომ ვეკლაფერს  
 მოახერხებს, უპასუსა ჰავლიკამ და შესცინა დედას.

\* \* \*

ზავლიკას იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს. მარ-  
 თლაც როგორ შეიძლებოდა იმოდენა სარბასნის  
 ჩადება ამის ჰატარა ფესისაცემელში. ამასთანავე სომ  
 ტებილეულობაც ბლომათ უნდა მიეღო.

გათენებისას უძაწვილი ფეს აკრეფით ავიდა თა-  
 ვიანთ სახლის ჩარღასში, იქ ბევრი ბარგი-ბარსანა  
 ეკულებოდა. მართლაც იქა ნახა გატყენილი შუბი,  
 დაქანკებული ხმალი და დიდუკელიანი მშვენიერი ჩექ-

მები. სისარულით აღარ იცოდა რა ექნა! ჩექმებს  
ვეებურთელა ჰირი ჭქონდა და ზავლიკა აღრევე ტუ-  
ჩებს ილოკავდა, შიგ რამდენი ტკბილეულობა ჩავი-  
დოდა.. სარბასანი სომ რადა!



მობის წინა დღეს, სადილი რომ გაათავეს ზავ-  
ლიკა აიპარა ჩარდასში ჩექმების გასაწმენდათ და  
ჩამოსატანათ. დაღამებისას ჩექმები დამალა თავის  
ოთახში, ეშინოდა რომ შეტადრე ბაბუცას არ გაეგო  
მისი ეშმაკობა.

\*  
\* \*  
\*

ღამე უველა დაწვა, მთელი სასლი მიწუნარდა.  
ჩამი.ჩუმი არსად იყო. ზავლიკამ საწოლთან გვერდით  
მოიწყო ეს დიდ ველიანი ჩექმები და ის იყო თვლემ-



და, რომ მოესმა რაღაც ფაჩი-ფუჩი. სახუქრების და  
 სარკებლათ დედის შემოსვლა ჯერ აღრე იყო. ნეტა  
 ვინ უნდა ყოფილიყო! ვიღაც უახლიაგდებოდა მის  
 ჩექმებს. ჰავლიკამ უცებ შესძახა:


-- ვინ ხარ, რა გინდა?

მოესმა წვილი და მის ჩექმებზე ვიღაც გაი-  
 მხლართა. ამაზე ჰავლიკამ მორთო ფერწილი. მთელი  
 სახლი ფეხზე. დადგა შემოვარდა დედა, მოსამძახუ-  
 რენი, ემაწვილებმა მორთეს ტირილი, ეგონათ სახლს  
 ცეცხლი ეკიდებო. ბაბუცა თავის საწოლში არ და-  
 უხვდათ. ის ჰავლიკას ქვემაკებთან გულ წასული  
 იპოვეს. ბაბუცა გონზე რომ მოვიდა ქვითინით თავს  
 იმართლებდა: მინდოდა ახლოს შენახა დიდრონი ჩექ-  
 მებიო. ჰავლიკა კი მწარეთ ტიროდა.

დედამ როგორც იყო გამოიძია საქმე. ჰავლიკამ  
 სინარბით ჰატარა სარბახანიც დაჭკარკა, რომელიც  
 დედას უნდა მისთვის მიელოცნა.

ბეურს რომ გამოუდგებიან ნათქვამია, ცოტასაც  
 დაჭკარკამენო.

გასო.



# ს ლ ი ლ ლ



რისტეს შობის თვე მიწურული იყო. მასწავლებელმა გაგვანთავისუფლა სადღესასწაუდოთ. ეველს ბავშვები ფაცა-ფუცა ვიუავით, ეველანი შობის მისალოც ალილოსთვის ვემსადებოდით და ჭრელ ჯოხებს ვამსადებდით სახლილოთ. მე ამხანაგებში ეველასე ნატარა ვიუავი. ძრიელ მინდოდა მეც ალილოსე წასვლა, მაგრამ არავის მიუვანდი, რადგან ჭრელი ალილოს ჯოხი არა მქონდა და უჯოხოთ ახარა მეალილოე ვიქნებოდი. ალილოს ჯოხი საგანგებოთ უნდა ეოფილიყო დაჭრელებული და თავიც კარგა მოხრდილი უნდა ჰქონოდა ძაღლებას მოსაგურებლათ, მე-კი არა მქონდა ამისთანა ჯოხი და არც გაკეთება შექმდო. თუძცა ამხანაგებს ბევრს ვეფიცებოდი: ბიჭებო, მიმიღეთ ამხანაგათ, ძაღუ მეც შექნება ჯოხი, ძამახეი მინდორშია და ის მომიტანს მეტეი და დასამტკიცებლათ ჩემის სიტყვებისა მომევენდა მოწმათ: ღმერთი, სატი, ალავერდი და სხვა. მაგრამ ვერავის ვერაფრით ვერ მოულებე გული. ალი-



ლოსე წასვლის სურვილით ხან ერთ უბრალო ჯოხს წამოვაფლებდი ხელს და მივეკედლებოდი ბავშვებს და ხან მეორეს, მაგრამ ეველანი ქისტის კვრით მის ტუმბობდენ. ამ განაძაწიანში და ცრემლის ღვრანში რომ ვიყავ, მამა ჩემიც მოვიდა.

მინდობში წასვლის დროს მამა დამპირდა, რომ, თუ კარგათ ისწავლი, რომ მოვალ ალილოს ჯოხს მოგიტანო. მეც რაც შეემძლო ვცდილობდი დაპირებული საჩუქარი მიმეღო. დავინახე თუ არა მამაჩემი ცხენით მინდვრიდან მოძავალი, პირ და პირ გაკფრინდი იმისაკენ. თანაც შევნიშნე ცხენზე საწვევებში ჩაკრული ჯოხი. მამა ჩემმა მოძიალერსა, უნდოდა ცხენზე ავეყვანე ცხენ და ცხენ, მაგრამ მე კობალის დანახვამ სულ დამიკარგა ცხენზე შეჯდომის სურვილი. შევეხვეწე მამას დროსე მოეცა ალილოს ჯოხი, რომ ამხანაგებისათვის მეჩვენებინა. მამამ შემისრულა სურვილი. გავიდე მხარზე კომბალი და გავწკრინდი ბიჭებისკენ. ნახეს თუ არა ჩემმა ამხანაგებმა ჩემი ჯოხი, ძრიელ მოეწონათ და შეჭმურდათ კიდევ. დამიწვეს ვაჭრობა: სასუიდელი ოც, ოცდა ათ და ორმოც კოჭაძდისინ ავიდა, მაგრამ მე არ დავუთანსმე, თუძცა კოჭები ჩემთვის რაღაც დიდებას წარმოადგენდენ. ბოლოს ჯერ-ჯერათ დამიწვეს მხარზე ხელის გადადება და მთხოვდენ მათთან ალილოსე ერთათ წასვლას. მეც დავიწვე ბერვა, დიდის ვედრების შემდეგ დავუთანსმე ერთ ჯგუფს და შევკარით მამინვე პირობა ამხანაგობისა. გამოვიძრეთ ეველამ წამწამი, შევაგროვეთ ერთათ და იქვე პირობის შეკვრის ალაგას



დავძარსეთ ძიწადი, სადაც ეველა ჩვენგანი დანიშნულ  
 დროზე უნდა მოსულიყო და მოგველაპარაკა.

დადგა ოცდა ოთხი ქრისტეს შობის თვეც. გათუ-  
 ნებიდანვე არც მედგომინებოდა და არც მეჯდომინე-  
 ბოდა. ჰურის ჭაშა სო ვილას აკონდებოდა. თუძცა  
 დედა ჩემმა რამდენჯერმე დამიძახა: მოდი, შვილო,  
 შიშშილით ნუ კვდებიო, მაგრამ თქვენც არ მომიკვ-  
 დეთ, მე სულ მზეს უეურებდი, ნეტა დროზე ჩავიდეს  
 მეთქი, მაგრამ არ იქნა და არა ეშველა რა. ისე  
 გაგრძელდა შობის-კვირის დღეები, რომ წელიწადი  
 მეკონა და ოცდა-ოთხი რიცხვი კიდე მთელ საუკუ-  
 ნეთ გადაძქცა.

ჩავიდა მზე. შებინდდა. ჰირობის დაგვარათ, ამხა-  
 ნაკები შევიკრიბენით დანიშნულ ალაგას. გაუშინჯეთ  
 კიდევ ერთმანეთს ჯოსები. მიუეცით ეველას თანამ-  
 დებობა. მე როგორც ჰატარას კვერცხების კალათა  
 მოძაბარეს. ბარვის ტარება უფრო მოსრდილ ამხა-  
 ნაკებს მისცეს, ზოგმა ძაღლების მოკერება იკის-  
 რეს და ზოგმაც ალილოს თქმა. მხათა ვართ, გავიწ-  
 უეთ მხარზე ჯოსები და შეუდევით მილოცვას. ჰირ-  
 ველათ ჩვენსა მივედით. მივდექ ჩემის კალათით კა-  
 რებსე და შევძახე: ავაშენოთ, ავაშენოთ! ჩემი სიტ-  
 ევები გაიმეორეს ერთხმათ ეველა ამხანაკებმა... შეკით-  
 ხება და ნებართვა ალილოს თქმისა უეჭველათ ხაჭი-  
 რო იყო, რადგან ზოგი ოჯახი ამ დროს გლოვიან-  
 რეთ არი და მეალილოეს არ ამღერებს, მიულოცვე-  
 ლათ გაისტუმრებს. ჩემ შეკითხვასე დედაჩემმა იცნა  
 ჩემი სმა და სიხარულით შემომძახა: ბიჭო, რაზე



ჭკუდები შიშხილით, მოდი ესლა მაინც შეჭამე  
 მაგრამ ჩვენ უკვე შემოუჭრიალეთ:

„ალილო, სასლო, ალილო, სასლო სალხინოთ  
 ნაკებო, ლსანძი მოსასხმარებლო, ალილო, სასლო  
 ალილოოო...“

ოცდა სუთსა ამ თვესაო,  
 ქრისტე დაბადებულაო  
 და ძრავალი ეს დღე გელოცნოთ,  
 შობა და წლის თავიაო.

ალილო, სასლო ალილოოო!

ალათასა ძალათასა,  
 ჩაჭყავ სელი კალათასა.  
 ბებერო, ერთი კვერცხი გამოგვიტა,  
 შენი სასლის ბარაქასა.

ალილო, სასლო ალილოოო!

ღობეზე ჩიტი შემოჯდა,  
 იძახის ნინო, ნინოვო,  
 გამოდი სასლის პატრონო,  
 გამოგვიტანე ღვინოვო.

ალილო, სასლო ალილოოო!

ქალო ანთე სახთელი,  
 დაგიდგა ძამის ნათელი.  
 აქ რომ ღორი დაკლულაო,  
 ნაუეღურნი ჩვენიაო.

ალილო, სასლო ალილოოო!

ბეღელსა შემოუარე  
 თსა გამოვარდა ნისლაო





თუ მოხვალ, დროზე გაბოდი  
სხვაგანაც გვინდა მისვლაო.

აღიღო, სახლო აღიღოო!

ბებერი რომ დაბერდება,  
დაუჯდება კერასაო.

კრუს-ჭუჭული მივაბარე

დაძიჭივა ძერასაო,

ვინც იმას არას ჭკითსავდა

ატარტარებს ენასაო და სხვა...

აღიღოს დაწეებ ის თავძივე ძამა ჩემმა შეგვინძნა:  
აბა ბიჭო, ჯერ ოცდა ხუთი სად არი? ჯერ მხე ისევ  
ერთ შუბის ტარსეაო.

ამ სიტყვებით ძამაჩემს დაცინვა უნდოდა მეალი-  
ლოებისათვის, რომ ჩვენ მილოცვა ისევ მხიურ და-  
ვიწეეთ, მაგრამ დედაჩემმა დროზე გასცა პასუხი:  
უმაწვილო, აღარ გახსოვს ძენი პატარაობე, ორი  
დღით რომ წინ დასდიოდი აღიღოსო. გაგვიხარდა  
ამისთანა საბუთიანი პასუხის მიცემა დედაჩემისა და  
უფრო გულიანათ შემოვძახეთ. ბებიაძაც რაღაც წაი-  
ბუტბუტა, როდესაც ბებრის და კრუს-ჭუჭულის სიმ-  
ღერა შემოვძახეთ, მაგრამ ჩვენ სინარულით ვერა გა-  
ვიგეთ რა, რადგან ამ დროს ჩვენი უურადღება დედა-  
ჩემისაკენ იყო ძიძარაული, რომელიც, აღიღოს წუ-  
სის და გვართ, მივიდა თაროსთან, ჩამოიღო სინი,  
მიაკრა შედ ორი ანთებული წმიდა სახთელი, და  
აწეო შედ ორი კვერცხი და ორიც ლავაძი და მო-  
გვართვა მეალილოებს. მე კვერცხებს მივატანე ხელი,  
მებარგულემ ლავაძს. ავიღეთ ერთი ლავაძი და ერთი



საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

კვერცხი. მეორე კვერცხიც და ლავაძიც სინსე დასუ-  
ტოვეთ სასლის ბარაქათ. კვერცხი მაშინათვე ჩავდე  
კალათაში და მივაუარე ბსე, რომელიც კალათაში  
ქონდა დამსადებელი, რომ სიარულის დროს კვერ-  
ცხები ერთმანეთს არ მიჭხვედროდნენ და არ დამტვრე-  
ულყვენ. მებარკულემაც ლავაში ჩასდო სურჯინში.  
გავათავეთ ჩვენსა ალილო. ახლა ჯერ-ჯერით მიუ-  
ლოცეთ ამხანაგების მშობლებს. თან და თან ქელამ-  
და. თოვლი არ იყო. ცა—მოწმენდილზე მთვარე კამ-  
კაშით გვიუარებდა ჰატარა მონძებში და ტუბუჭებში  
გამოხვეულ ძეაღილოებს. კარგა ხანი ვიარეთ. ბევ-  
რი ძაღლი ავაეფეთ და გავამწარეთ ჩვენის კომბლე-  
ბით, მაგრამ ბევრი ჩვენთაგანიც არა ნაკლებ ძაღლე-  
ბისა გამწარდა. ერთ ჩვენ ამხანაგს ისე მწვავეთაც  
მოჭხვდა ძაღლის კბილი, რომ იმან ტირილი ამო-  
უშვა, მაგრამ ამხანაგებმა დარწმუნეს, რომ ალილოს  
დროს ძაღლის ნაკბენი კაცმა სრულიათ არაფრათ  
უნდა ჩავგდოს, რადგან ჩვენც ჰირიქით ძაღლებს  
კომბლებით თავპირს ვამტვრევთ და ისინიც თავს ცვა-  
ძენო. ჭინჭველა სო ჭინჭველა—უუთხარით, იმასაც  
რო ფესს ადგამ, რსიც იკბინებაო და ძაღლები რო-  
გორ უნდა გავამტუუნოთო. ესეთი მოსახრება ამხა-  
ნაგმა კანონიერათა სცნო და მაშინათვე შესწევითა  
ტირილი. შემოუარეთ მთელ ჩვენ სოფელს და ვაპი-  
რებდით სხვა სოფელშიაც გადასვლას, მაგრამ ჰირ-  
ველსავე ცდაში იქაურ ძეაღილოებიდან მწარე სუსნი  
მივიღეთ. გადავწვიტეთ დაჯერებულიყავით ჩვენის  
სოფლის მიდოცვებით.

82801



ქართული  
ლიტერატურა

ბლოქსა ვიძოვეთ: ხილი, კვერცხები, ლავაშები, ორგან-ასამკან შობის ზედაშეც ახსადნათ და მოგვართვეს მეალილოებს სველ-სველი ხელადა, მაგრამ ჭიქის უქონლობით ვერაში ჩავსსნით და მასწინძელს მადლობა გადაუხადეთ. ვიძოვეთ აგრეთვე რამდენიმე ცხვრის სამწვადე შობის კურატებისა. ერთგან ქათამიც გამოგვეგვარეს, სწორეთ რომ ვსთქვათ ქათამს მარტო მეალილოები ვეძახოდით, თორემ ის იყო წიწილი, რომელიც ერთ კვერცხსათაც არა ღირდა. ქათამი მე შეჭირა ხელში და უოველ მეალილოების შესვედრახე ვჩმუგნიდი საცოდავს და ვაჭყეივლებდი, რა არი გაიკეთ მეალილოებო, რომ ჩვენც მარაქში ვართ გარეულები. ბევრს ჩვენ ტოლ-მეალილოებს კიდევ მუჭმურდათ, რომ ჩვენ იმისთანა მეალილოები ვართ, რომ ქათმებსაც გვაძლევდენ და არა მარტო კვერცხებს. უფრო ზატარა მეალილოებს ის გვიხაროდა, რომ ძაღლებს ვაყეუვებდით და კომბლებით ვიგერიებდით. ბევრგან ჩხუბიც მოგვდიოდა იმახედ, რომ არა ჩვენ წინ უნდა მივიდეთ მისხლოცათ და არა ჩვენაო. იმარჯვებდა ის ჯგუფი, ვისაც კარგი და დიდი კომბლები ეჭირათ. ამ შემთხვევაში უოველთვის გაბღინ-პული წინა ვდგებოდი, მაგრამ უოველთვის უკანვე ვინევიდი, რადგან იარაღთან ერთათ ცოტა არ იუოს გულადობაცა მჭირდებოდა და ეს კი, როგორც ზატარას — არა მქონდა. ბევრგან ძალათ, უმიხეზოთაც მოგვდიოდა მეალილოებს ომი, რომ გამოგვეცადნა ერთ-მანეთის გულადობა და ვაყკაცობა. ბევრგან გავ-

86861

თხილ ადგ მუქი სივარც თიღუქობისამ მისეჯ 266

საქართველო



მარჯვეთ, მაგრამ უფრო ბევრგან მიგვტოვებენ, ცემა-ტყეზაც ჩვენთვის ისეთივე სისარული იყო, როგორც ალილო და ძაღლების ზარზარი და გაგვექონდა ერთი ჟივილ-ს. ავილი და ეს ჩვენი ჟივილი, ძაღლების სმაურობა, ალილო და ქოთქოთი, შეერთებული ერთათ რაღაც სასისარულს სიამოვნებას იწვევდა და მაუურებელში.

ჩემი ალილოს წასვლა ზირველი იყო და ვეკლას ნაბიჯის გადადგმა, მასარებდა და რაღაც ვაჟკაცობას მიმატებდა. მოატანა მამლის ვივილმაც. თუშცა ვაჟკაცობა იმაში იყო ვინც გათენებაშიდისინ ივლდა ალილოს, მაგრამ ჩვენ ამხანაგებმა ერთ სმათ გადავწვიტეთ — გვეკმარა ბილოცვეები, მით უმეტესათ, რომ ბევრი ჩვენგანი ცოტათ, თუ ბევრათ დასიანებული იყო. ან კოპი აჯდა შებლზე და ან მუშტის-კრივის საგან ცხვირი ჰქონდა გაცქლეფილი, და სიცივისაგან, რომელმაც განთიადისას მოგვიჭირა, დაგვიწყო წვა და ტკივილი. ვერც მე გადაურჩი უნასასოთ ზირველ ალილოსე კალაშქრებას, გოჭანთ ძაღლი, რომელმაც მიკბინა ალილოს ღამეს, დღესაც მაგონდება სოლმე, როდესაც დავინახავ ჩემ ტიტველს მარჯვენა სასრელ გაზას.

გადაწვიტეთ დაბრუნება და მოვბრუნდით შინ. მოკედით ერთ ამხანაგის სასლში. გავიუავით ვეკლას ფერი თვლით და შეფარდებით, კარდა ქათმისა, რომელმაც ბევრის ჩმუგუნის და წივილის შემდეგ გზაშივე თქვენი ჭირი წაიღო. მიკვდი შინ. დედაჩემი მომეკება, დიდის სისარულით გადამოცნა და ჩამო



მართვა ჩემი ნაშრომი, ჰირველათ ოჯახსში შეტანილი მაგრამ ის კი არ ესიაძოვნა, რომ ცოტათი ვეჭვობდი. გამიძინჯა დედამ იარა და ცოტა არ იეოს შეფიქრიანდა. მე არაფრათ ვაგდებდი ნაკებენს, რადგან ის მიღებული იყო ალილოს დროს და, თუ დაგლეჯა არ მინდოდა, მინ უნდა ვმჯდარვიყუა ნაცარქექისსავით. წამალი ძრეელ ადვილი საშოვარი გა მოჩნდა იარისთვის — ერთი სალი ჭიტის ლობიო და მისი ჯანი. აილო დედა ჩემმა ლობიო, გაჩესა შუახე და მიაკრა ორივე მხარეს ნაკებენს და შემიხვია.

მამა ჩემმა დედის წუწუნზე რაღაც დაილაზარაკა ქვეშაგებიდან, მაგრამ ვერ მოკვარ კარგათ ყური, ის კი გავიგე, რაღაც კოჭლობაზე დაილაზარაკა. ვკონებ ის უნდა ეთქვა, არა უშავს რა, — ძალი კოჭლობით არ მოკვდებო.

დაღლილი ვიყავ და ძალე დამეძინა. მეორე დღეს გვიან გამეღვიძა. მამა ჩემს კიდევ დაეკლა საშობაო ქოსმენი ღორი და ცეცხლთან მწვადებს ამიშინებდა. დედა ჩემს მოემსადებინა შობის სვარა-ძამალი და ქათმის საჭრელით ვარცლის თაზე იდგა და თითონ შობის შედაძე — ქვევრიდან ღვინოს იღებდა. ჩემი ჰატარა ძმა ბ და — მამა ჩემს მოჭსხდომოდენ ცეცხლს ჰირას მუსლთან და ჩემ კომბალას ერთმანეთს ეცილებოდენ — არა ჩემია და არა ჩემიო. ბებიასაც გამოელვიძნა, მაგრამ ის ცოტა არ იეოს განაწეენებული იყო. როგორც დედა ჩემიდან გავიგე, თურმე ბებიას ძრეელა სწეენოდა, რომ მეალილოები ბებრებს დასცინოდენო — კრუს-ჭუჭულაც ვერ შეუნახიათო, სულ




მერებს აჭმევენო და ვინც არა ჭკითსავთ ეხას-აჭმენო  
 ტარებენო და იმათ რძლებს კი უხარიათ ამ გვარი  
 დედაძოღების სასაცილოთ ავდებო. შევნიშნე ამ  
 ნიადაკსე დედა ჩემს და ბებიას ცოტა შეტაკებაც მოჭ-  
 სლოდათ, რადგან ისინი ამისთანა ბედნიერ დღეს,  
 როგორღაც სურვით ელანარაკებოდენ ერთმანეთს.

გ. დ. ჭრელაშვილი.





# სასინარულო შობა.



ედა, დედა, შემომხედე, მუ-  
შინია! იმასოდა ზატარა სა-  
ნდრო და შეჩერებოდა იქვე  
მწოლარე ქალს, რომელიც  
გრძნობა დაკარგული იყო.

მაგრამ ქალს არაფერი  
ესმოდა. ბოლოს ეძაწვილ-  
მა რომ ველარაფერი გააწ-  
ყო, კუთხეში მიიბინა,  
და დაავლო ხელი წელის

ჭურჭელს და ერთი მუჟა წეალი ჰირზე შეასხა. ქა-  
ლი შეინძრა, თვალები გაასილა, ჯერ დაბნეული იყო,  
მერე თან და თან გონზე მოვიდა და რომ დაინახა  
იქვე მდგომი სანდრო, მწარე ქვითინი დაიწყო, ჩაი-  
კრა გულში თავის ბიჭი და აღერსით უთხრა:

— შვილო, რა წეალში ჩავარდე, შენი საცოდარო-  
ბა მკლავს. მე ყველაფერს ავიტან, მაგრამ შენ რა  
გაძველება, ამდენი შიმშილის ატანა როგორ შეგიძ-  
ლია! საბრალლო მამა შენს რომ ცოდნოდა, რა უბე-  
დური დღეები მოგველის, ჯერ ჩვენ გამოგვასალმებ-  
და წუთი სოჯელს. ხვალ ქრისტეს დაბადების დღეა,



ვევლას სისარულით ეძხადება ამ დიდი დღესასწაულის დასასვედრათ, ჩვენ კი ჰურცი არა გვაქვს, იქნება ამდენი გულის წუსილი ვეღარ ავიტანო, სული ამომიკიდეს და შენ სულ უზატრონოთ დაგტოვო. უთხრა მაკრინემ თავის შვილს სანდროს და ისევ ქვითინი დაიწყო.

სანდრო იყო სუთი წლისა როცა მამა მოუკვდა: დარჩენ ის და მაკრინე უძწეოთ. მაკრინეს დარჩა ქმრისაგან ცოტაოდენი ადგილმამული, ხის სახლი, თითონაც მშრომელი დედაკაცი იყო, ასე რომ ჰირველ ხანებში ცხოვრობდენ გვარინათ. ბოლოს თავისი მიწა მაკრინემ დაუგირავა ერთ მდიდარ მეძაძუელს ჰეტრე დიდიძეს, სარგებელს ჰირნათლათ ისტუმრებდა და იმედი ჰქონდა, რომ შიმშილით არ დაიხოცებოდენ. მაგრამ ბედა სელმეორეთ უძტყუნა მაკრინეს.

სანდრო შვიდი წლის რომ შეიქნა მაკრინემ სკოლაში მიაბარა, რადგან ქმრისგან ნათქვამი ჰქონდა: რაც უნდა გაგიჭირდეს სანდროს უსწავლელს ნუ დატოვებო. ამან სარჯი მოუმატა. გირაოს ფულის გადახდა დაუგვიანდა, სარჯს სარჯი დაემატა და იქამდის მივიდა საქმე, რომ დიდიძემ ჯერ მიწა წაართვა მაკრინეს გირაოში და ახლა სახლიც უნდა გამოერთვა. ერთი კვირის ვადა მისცა მაკრინეს, თუ გადუხდიდა ვალს ამ ხნის განმავლობაში, თუ არა სახლიდან უნდა გამოეგდო. აი ეს მწარე ფიქრები, თან შიმშილი—თან და თან ახსლოვებდა მაკრინეს სამარის კარს. მეორე დღე იყო უკვე რაც დედაშვილს ჰირში





ნაწილი არ ჩაედვათ. მაკრინე შრომით დასუსტებულ ახრდილს ჰგავდა. ხშირათ გული უღონდებოდა, თუძცა თავს იმაგრებდა, რომ შიში და მწუნსარება არ მიეყენებია თავის ბიჭიკოსთვის. სანდროს სახე უთუოდ ცრემლებს მოჰკვრიდა მნახველს, ბავშვის ლამაზ სახესედ იმდენი ფიქრი და მწუნსარება გამოიხატებოდა, რომ გაოცდებოდით.

დედის უკანასკნელ სიტყვებზედ ბავშვი შეკრთა, მიაპრო მას თავის დიდრონი თვალები და მტკიცეთ უთხრა: არა, დედა, შენ არაფერი არ გაგიჭირდება. მე წაგალ რამეს ვიძოვი და სვალინდელ დღესასწაულისთვის ჩვენც გვექნება ვეელაფერი.

— სიდან უნდა იძოვო. ჩემო ბიჭიკო, შენ რა შეგიძლიან, ერთ ხმით შეეკითხა მაკრინე.

— აი, გესმის დედა, ჰატარა ბიჭები ქრისტეს დაბადებას ულოცავენ ქალაქის მცხოვრებთ. ალილოს გალობენ, მეც გავალ, შეუერთდები იმათ და ცოტას მეც ვიძოვი. რწმენით უნასუსა სანდრომ, დაავლო ხელი ჰატარა ჩანთას და საჩქაროთ გაეშურა კარუბისკენ. დედამ ვედარც კი მოასწრო ეთქვა რამე.

სანდრომ აკერ გაიგონა ბავშვების გუნდის გალობა: „ოცდა ხუთსა დეკემბერსა, ქრისტე იშვა ბეთლემსაო“ და გაეშურა იმათკენ. გაათავეს უმაწვილებმა სიმღერა, იმათ გამოუტანეს წვრილი ფული და ისინიც მსინარული ჟივილ-სივილით, გაეშურენ სსვაცან. წამოეწია მათ სანდრო და შევედრა აკანკალებული ხმით: მოიცათ, ბავშვებო, თქვენთან მინდა ვიგალობო, თუ შეიძლება მიმიღეთ, მე მილოცვის გალობა ვიცი,



მაძამ მასწავლა, ამბობდა სანდრო აჩქარებით და გუგუნი  
ლის კანკალით.

— არ შეგვიძლია, ერთსმათ შეჭევირა უველამ.  
რა დროს შეერთებაა, ჩვენ იმდენი ვიპრობეთ და ესლა  
შენ უნდა გაგიყოთ? წადი, წადი იქით, საიდანაც მო-  
სულსარ. ამ სიტყვებით, საჩქაროთ გასწიეს და დას-  
ტოვეს საწეალი სანდრო შუა ქუჩაში. ამას სანდრო  
სრულიათ არ მოელოდა. ერთხანს იღვა გამტყრებუ-  
ლი. მერე მწარეთ ამოისვინემა და ტირილი დაიწყო.  
ბოლოს ერთმა აზრმა გაუელვა: მოდი, მარტო შე  
ვიგალობებ ეგებ მომაქციონ უურბდლებათ. შეჩერდა  
ერთ მდიდრის სახლის წინ და თავის წყრილა სმით  
შემოსძახა: „ოცდა სუთსა ამ თვესაო, ქრისტე იშვა  
ბეთლემსაო“, მაგრამ აქაც იმედი გაუცრუვდა, არაფერ  
მას არ გამოხედა. ის კი იღვა და სიცივისაგან გა-  
ლურჯებული ქრისტეს შობას ულოცავდა აქ მცხოვ-  
რებთ იმ იმედით, რომ ერთ გროშს გამოიმეტებდენ  
მისთვის. მერე რა საჭირო იყო ეს გროშები სანდ-  
როსათვის! დედა შიმშილით აღარ მოუკვდებოდა,  
მვირფასი დედა! დიდხანს იღვა სახლ-წინ, მაგრამ  
ვერაფერს გახდა, მეორე სახლთანაც გაჩერდა, იქაც ვერა-  
ფერი გააწყო, მესამე სახლთანაც ბევრი ივეირა და  
ბოლოს ძალა გამოლეული ღობეს მიაწვა და მწარე  
ქვითინი დაიწყო და თან სმა მადლა ამბობდა: რა-  
ღა გვეშეველება, დედა ველარ აიტანს ავათმეოფობას,  
შიმშილს, რა გვეშეველება, ღმერთო! იმასოდა ის გულ  
ამომჯდარი.

ვინ არის ეს, მოშორებით რომ დგას და სანდროს

უერს უგდებს? სანდრო ვერ ხედავს მას, რადგან ბნელი ღამეა, ის კი, ვილაც, მას თან და თან უახლოვდება, ბოლოს ხელიც დაჭკრბ ბეჭებსე და ალერსისანი სმით ჭკითსა:

— ბიჭუნა, რატომ ტირი აგრე მწარეთ? რა გაატირებს?

სანდრო შეკრთა, აიხედა ზევით და თავის გვერდით ვილაც ძალაღლი ტანის კაცდი დაინახა, სახე ვერ განარჩია და ტირილით უზასუსა:

— ბატონო, დედა ჩემი შიმშილით კვდება, მე კი ვერაფერი ვუძოვე ამდამ რომ ჰური უეიღო, სწუს და არ ვიცი რითი უძველო.

— რაზე სწუს აგრე ძლიერ? შეეკითხა უცნობი.

— ხვალ, ან ზეკ გარეთ გამოგვაგდებენ და საჯარელი არ არის? სლიკინით ამბობდა სანდრო.

— ვინ გამოგვაგდებსთ ქუჩაში, ვის შეუძლიან?

— ჰეტრე დიდძეს, რომელსაც ჩენი სახლი აქვს დაგირავებული, უზასუსა სანდრომ.

ამ სახელის გაგონებაზე უცნობი ჯერ შეკრთა, მერე სანდროს მოხვია ხელი და უთხრა:

— წამიუვანე შენს სახლში, მე მოვაწუბ ისე, რომ არაფერი გაგიჭირდესთ არც დედა შენს და არც შენ. მე მდიდარი ვარ!

სანდროს ამის გაგონებაზე, ჯერ აზრი დაებნა მეტის სისარგულით, დაიღუნა და ხელზე აკოცა უცნობს, მერე ჩასჭიდა იმას ხელი და სახლისკენ გაიტაცა.



პატარა ხანს დავანებოთ ამათ თავი და გავიცნოთ  
 თუ ვინ იყო ჰეტრე დიდძე. ეს იყო ძალიან შეძლე-  
 ბული ძეგბეული, ეველა მას პატრისა სცემდა, რად-  
 გან გულ-კეთილი იყო, ეველას სელს უმართავდა,  
 გაჭირვებულს უხვით შემწეობას უხენდა და ზედ მეტ  
 სასელათ უძახდენ „კეთილი ჰეტრე“. მაგრამ მას ეწვია  
 უცბათ უბედურება და ამის შემდეგ ხასიათი მთლათ  
 გამოეცვალა. მას ჭებადა ერთთ ერთი ვაჟი-შვილი,  
 რომელიც სიცოცხლეს ერჩია და აი ეს მისი  
 პირმშო კისერამ სელიდან გამოაცალა. ჰეტრემ პირ-  
 ველ ხანებში ამ უბედურების შემდეგ ჭკუა დაჭკარგა,  
 იმედი აღარ ჭქონდათ იმის, მორჩენისა, მაგრამ მო-  
 ულოდნელათ ისევ დაუბრუნდა ჭკუა, მხოლოთ მას  
 ველარ ცნობდენ: კეთილი ჰეტრე გადაიქცა სასტიკ,  
 უღმობელ ადამიანათ. არ უკის არ იბრალეებდა, თუ  
 კი იმისგან იქნებოდა დამოკიდებული, სულს ამოარ-  
 თმევდა.

— მე ღმერთმა არ შემბრალა, მე რათ შევიბ-  
 რალეებ სხვასაო, ამბობდა ის, ცოლი ხშირათ უსა-  
 ევედურებდა სოლმე ასეთი სიმკაცრისთვის. მაგრი-  
 ნეს შესახებაც ბევრი ესვეწა ცოლმა: -- ნუ ამოხოცავ  
 შიშხილით საცოდავ დედა-შვილსო, მაგრამ არაფერი  
 გაუვიდა...

ქალაქს გარეთ ცხოვრობდენ დიდძეები. ჰეტრე  
 ძალიან ძვირათ გამოდიოდა სახლიდან და სულ და-  
 დვრემილი იყო. განვლო წლებმაც და მას ხასიათი  
 არ შეეცვალა.

შობის წინა დამე იყო. ჰეტრემ ცოლს უთხრა: „მინდა ქალაქში წავიდეთ და წავიდა კიდევ. ცოლს ძალიან გაესარდა: მადლობა ღმერთს თავინით მოიგონა კარში გასვლა.“

ჰეტრე ნელის ნაბიჯით შედიოდა ქალაქში, აი აგერ კიდევაც გამოხნდა საუდრის გუმბათები. მიდის ჰეტრე და თან ფიქრობს თავის ჰატარა კოლაზე: „რატომ ვერ ვვლირსე მის დაჯაყაყებებს, რათ გამოწერა ღმერთი?“, ბუტბუტებს ჩუმათ ჰეტრე და ამ ფიქრებში გართულმა აუარა გვერდი ქალაქის შენობებს: ერთს, მეორეს, მესამეს და უცებ შეწერდა, რადგან მოესმა ტირილი. მიუხსლოვდა იმ ადგილს და დანახა ღობესთან მოკუნტული ბავშვი. ეს იყო ჩვენი სანდრო, გაიგონა იმის უკანასკნელი სიტყვები და განუხრამელი სიბრალული იგონო. დიდი ხანია მას აღარავინ შებრალებია და თავის გულის ამბავი თითონაც გაუკვირდა.

მაშინ კი როცა გაიგო, რომ ამ ბავშვის უბედურების მიზეზი თითონ იყო, საშინლათ გაფითრდა და მხოლოდ ახლა იგონო თუ რა ცოდვას ჩადოდა მაკრინეს რომ ავიწროებდა. შეესვენა სანდროს ძალე მიეკვანა დედასთან, რომ თავი შეენახებინა.

მაკრინე კი ელოდა თავის შვილს, შიშობდა ვაი თუ ეტლმა გასწრისოს ჩემი ბიჭიკო. ამ ფიქრებში იყო გართული, რომ შამოესმა რახუნი. მაკრინეს გული შიშით გადაუტრიალდა. ათასნაირმა ცუდმა ახრმა გაუელვა თავში: ვაი თუ სანდროს რამე დაეძარტა და მომიყვანესო, მუსლების კანკალით გააღო



კარები, სანდრო უვნებლათ დანინასა, ძაგრამ ჰეტრეს დანახვამ კინაღამ გული შეუღონა. იფიქრა სწორეთ ესლა გაგვერის ქუჩაში ეს ავი სულიო. ძაგრამ იმის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დიდძემ უთხრა: „ძაგრინე, მე შენთან ძალიან დამნაშავე ვარ და ვეცდები შეცდომა გავასწორო, თქვენ თქვენს მიწას და სახლს გიბრუნებთ და თვიურათ დაგინიშნავთ ფულს, რომ კარგათ იცხოვროთ. სანდროს კი ჩემს სარჯსე სასწავლებელში გამოვზრდი“.

ძაგრინემ ჯერ ვერაფერი გაიგო, ძაგრამ როცა ჰეტრემ კარგათ აუხსნა ეველაფერი, ძაგრინემ სიხარულით ტირილი დაიწყო.

ახლა სანდრო სკოლაში დარბის, დედა ელოდება სოლმე თავის ბიჭიკოს და დაახვედრებს სადილს და ჩაის, ჰეტრესაც სძირბათ ეწვევა სოლმე სანდრო, რომელსაც ეძაწვილი ძლიერ შეუყვარდა. ჰეტრე ბევრი ესვეწა ძაგრინეს სულ დამითმე სანდროო, ძაგრამ ძაგრინემ ვერ დათმო და დედა-შვილი ცხოვრობენ ბედნიერათ. ჰეტრე კი ისევ ძველებურ „კეთილ ჰეტრეთ“ გადაიქცა. ესმარება ეოველ გაჭირვებულს.

ჩაისა



# ნ უ ც ა ს ბ ა ლ ჩ ა .



ოსტნის თავში ნუცა-ქალას,  
ბაღჩა ჰქონდა საკუთარი.

რა კინდა-რო ძიგ არ ეღვა:  
ია, ვარდი, სუსამბარი.

გარე ღობეთ შემორტეული,  
თუალსა სჭრიდა მუშკამბარი,  
გვერდს სოსანი აკუნწლული,  
ზირ მდიმარი სანუკარი.

ჩიტუნებიც ჟრიკვინებდენ,  
ბუჩქებიდან უჩინარი.

ბავშვი სშირათ ბაღში იჯდა,  
განუწვევებლათ კითხულობდა;  
სან გაკვეთილს, სან ზღაპრებსა  
სწავლობდა და საღიწობდა.



ნაცვლათ: ია თავის კოკორს,  
 გადუძლიდა მოცინარი.  
 ვარდი სურნელს მოუბრკვევდა  
 მშვენიერი მონარნარი.

ერთმანეთს ეცილებოდენ,  
 მუშკარი და სუსამბარი,  
 რომ დაეკებოთ თავის სუნით,  
 მოცადინე მეგობარი.

სოსანი ნაზი, კეკლუცი,  
 ეელს ევლოდა ღიმილითა,  
 ჩიტუნებიც შეჭხაროდენ  
 ნუცას ჟივილსივილითა.

გ. დ. ჭრელაშვილი.






# გაუმაძღარი ციუვი.



ებერი მუხის ფულუროში სცხოვრობდა ერთი ციუვი. ფულუროს შესასვლელი ძალიან ვიწრო ჰქონდა, სამაგიეროთ შიგ მეტათ ფართო და ვეებერთელა ადგილი იყო. რკოს და თხილას მშენიერ საწეობათ გამოდგებოდა და სავსებით შეემლო და ეკმაყოფილებინა მისი ჰატრონი ციუვი. ის დარწმუნებული იყო, რომ

სიცოცხლით გაიხარებს და დასტკებება მხოლოთ მამინ, როცა თავის საკუჭნაოს ჰირთამდის სანოვაგით გაგსებულს ნახავს.

ბებერ მუხას გარეშემო ერტვა თხილნარი, როა ძელიც ეოველ წლივ მოუცდენელათ ისხავდა თხილს. ისე რომ ციუვს ეოველთვის გამოუღეველი ჰქონდა თხილი, შორს წასვლა არ მოუნდებოდა და არც მომავალსედ ფიქრი შეაწუხებდა. ასეთ კარგ ჰირობებში ცხოვრობდა ციუვი. მაგრამ ის თვითონ სულ სსვა ნაირათ ფიქრობდა, მას წარმოდგენილი ჰქონდა, რომ ტუის სიძლიდრე მხოლოთ მისი უნდა ეოფილიყო და



გული უკვდებოდა, როდესაც ხედავდა სხვა ციყვებს თხილის მოსაგროვებლათ მოსულებს. ფულუროს მფლობელი ცდილობდა გაერეკა დაუზატიყებელი სტუმრები, თითქოს ისინი ამას საკუთარ ქონებას სტაცებდნენ.

ძას შემდეგ, რაც მშობლების სახლიდან გამოვიდა ციყვი და დაბინავდა ფულუროში, დაუღალავათ იწუროსანოვაცის მოგროვება, რაც კი გამოადგებოდა საჭმელათ.

— აგრე დაუღალავათ რომ მუშაობ, გეტყობა დაოჯახსინანობას აპირებ! შეეკითხა ერთხელ მუხის ტოტსე მჯდომი ნიბლია.

— რას ამბობ, რასა! ეს მარტო მეც ძლივს შეყოფა, — ამოოხვრით უზასუსა ციყვმა, და საბრალათ დაიდრიჯა. — გეფიცები, ისე ცოტა თხილი მაქვს მოგროვილი, რომ ერთი დღე-ღამე არც კი შეყოფა!

— რას წუწუნებ, — ფულუროში აუარებელი სანოვაცე გაქვს. ნიბლიამ თვალი ამოიკიქა და დაცინვით უთხრა.

— სიცრუეა! — შეჭევირა გულმოსულმა ციყვმა. — მე სრულებით არაფერი მაქვს; თუ მაგისთანა სულელურ ჭიარებს გაავრცელებ, იცოდე, ჩამივარდები თუ არა ხელში, მაგ ზატარა თავს მოგკლიჯავ.

— არა, არა, დამპვიდდი, ჩემო საეკარელო მეზობელო! შენ დაუღალავ მუშაობას რომ ვხედავდი — ვიფიქრე, ალბათ მეკობრის მოყვანას აპირებს მეთქი.

— ღარბებს რა მეკობრების შოვნის თავი აქვთ!

— ტუილათ გკონია აგრე, ჩემო კარგო, კი კარგ მეგობარს ამოიჩხევ—რა ურიგოა, ისიც შეგეძველება მუშაობაში და იცხოვრებთ ბედნიერთ.

— ღმერთმა დაძიფაროს!— შეჭვევირა შეშინებულმა ციყვმა. რა დროს მეგობრის შოვნაა მშიერ კუჭზედ. ბარტყებს ბევრი სასწოდოს მიწოდება მოუნდებათ, რა ჩემი საქმეა.

— ნუ ამბობ აგრე, მარტოთ მარტო ცხოვრება მნელა!

ეს რო სთქვა ნიბლიძე, მოაკონდა თავისი გულის მეგობარი და სიამოვნებით დაუშტვინა. ციყვი კი გულმოდგინეთ შეუდგა ისევ თხილის მოგროვებას.

შემოდგომა რო დადგა და დამწიფდა თხილი და რკო—ციყვს ერთი წუთით მოსკვნება არ ჰქონდა. მთელი დღე ერთი ხიდან მეორეზედ გადახტებოდა, ერთი ტოტიდან მეორეზედ, — ისე იყო საქმით გატაცებული, რომ ჭამაც კი აღარ ახსოვდა; საღამოობით, როცა დაქანცული იჯდა თავის მოგროვილ თხილზედ, ერთსაც არ იმეტებდა შესაჭმელათ და ისევ საჭმლის ძებნას იწეობდა.

შიშხილისაგან მიხდილი და შრომისაგან დაქანცული ციყვი ღამე ბრუნდებოდა თავის ფუღუროში. იძდენი თხილი მოაკროვა, რომ იმის დასათვლელათ რამდენიმე დღე იყო საჭირო. მაგრამ თავის თავს მაინც ბედნიერთ არა სთვლიდა. „მე მხოლოთ მაშინ ვიქნები კმაყოფილი, როცა ჩემი ფუღურო ზირთამდის გაივსება“, ფიქრობდა ციყვი და ხელში ათამაშებდა კაკლებს, ვიდრე ძილი მოერეოდა. ძილიც მწირთხალი ჰქონდა, რადგან ეშინოდა არაგინ მიჰხედავოდა გასაქურდათ, სძირათ იღვიძებდა და ათვალეფებდა იქაურობას.




ეს ერთგულ მეძღვრეობის დამფუძნებელი მასთან, მიუხედავად  
 ბეხეთის, ავადმყოფი ციფრების მიერ დაღუპულ გენდარტისა და  
 ფესში დაღუპულ სხვათა და მუხომბის სხვა  
 მკვლელთა. ავადმყოფი ციფრის უბედურება, რომელსაც  
 იტყვს, უფროსი იქმნის სხვების ციფრების დაეხმარებინა, მის  
 ციფრისა და რამდენიმე ემეცებოდა, უფროსი ციფრების  
 მათანაუგობის. როდესაც უბედურება ციფრის მიხედვით  
 თავს იხვეწს, ახალგაზრდა, დიდ შემძლე ციფრს, მისგან  
 თანაგობის მავიერ უკმესი პასუხი მიიღო.

— გასწვი, დამკარგე! — შექუვირო ამან, —  
 იმიტომ ვინა ვიკლავდი შეშობით თავს, რომ შენვე  
 ჩემი ქონება მანაწალებს თვის და მერტობინა. უკმეს  
 რომ არ იყოს, თუ მოვაგრავო რამე — მეც მლივის  
 შეშობა.

ასე ხელცარიელი გაისტუმრა საწვალთ ავადმყოფ  
 ფრ ციფრს: თვლიდან რომ მოიძორო ეს მათხოვარი,  
 თავის უფლათ აძოისუნთქა.

დაბა სამთარი. ციფრს უფრო გულმოდგინეთ  
 შეუდგა შეშობას, თუცა ფულურო ისე გაივსო, რომ  
 შივ მლივის და მკრებოდა, მაგრამ მისი საწვადი ის  
 იყო, რომ ფულურო ვითამდის გამოეჭედა. და აი  
 ამიტომ დასტობდა ერთი სიდან ძიორესოდ, დიდიდან  
 საღამომდის. ბოლოს სამთარის ერთ საღამომს — მინი  
 შეშობა დასრულდა. ფულურო მთლათ გამოეჭედა,  
 ისე რომ ციფრისთვის ფულუროში ატევილი ზღარ  
 იყო.

მდიდან ციფრს ესლან თავისი თავი ბედნიერათ  
 უნდა ჩაეთვალა, მაგრამ ამას ვერა კრძნობდა. მარ-  
 თალია მსიამოვნებოდა და უსაროდა, რომ საწვადელს  
 მიაღწია, მთლათ გაავსო ფულურო, მაგრამ სრულ



სინარულს ვერ შეეცემა. იმ ღამეს ისეთი საშინე-  
ლი უინვა დადგა, რომ მაგმაკი გაჭქონდა.

შუაღამისას ციუვა იგრძნო, რომ იუინება, უნდა  
შეჭყარებოდა ფულუროს, მაგრამ ამისათვის საჭირო  
ყო ფულუროდან გადმოეყარა ზოგი მოგროვილი კა-  
კაღი. ამას კი ციუვი არაფრის გულისთვის არ გაი-  
შეტყებდა.

— ოჰ, ოჰ, ოჰ! რა კარგია ესლა თბილი კერა, კარგი  
შეკობარი, ოჯახი, ისინი რომ ისრუნავდნენ ჩემთვის,  
უძამთობდნენ, — განიფიქრა ციუვა. გრძნობდა რომ მა-  
ღიან ავით იყო, საჭიროებდა შეველას, მაგრამ მის  
ახლო მახლო ერთი ცოცხალი არსება : არაფერი  
ბოდა მისმა გაუძამდრობამ გაჭყარა. უძამდრობამ მი-  
სი შეკობრები, ნათესავები. პოცი (ინტონომ) ინტევი  
უინვა თანდათან უმატებდა; ციუვი მთლანე ცნენ  
უინვა როდესაც ვადასწუვიტა გადმოეყარა ფულურო-  
დან მოგროვილი სიმდიდრე, რომ გაენთავინა უფლებო-  
ნა თავისთვის ადგილი, უკვე ისეთი დასუსტებული  
იყო, რომ უანძრევის თავი აღარა ჰქონდა.


დრით იგი შკვდარი იპოვნეს. ის ფულუროს შირს  
წამოსკუპული გაეწულიყო.  
შეორე დღეს ნიბლიამ ჩამოუარა ეველა შეხობ-  
ლებს და შეატეობინა გაუძამდარი ციუვის სიკვდილი.  
ამათ საერთოთ ეველამ გაიუკეს ციუვის მოგროვილი  
სიმდიდრე.

... ანე იფენი . 7  
... ანე იფენი . 8



... ანე იფენი . 8

# ბოლოვთ გვიკასუხოთ!



ბოლოვთ „ჯეჯილის“ ეგელა მკო-  
თხველს ჰატარასაც და მოსრდილს  
საც გამოკსაზნონ წერილით ჰასუ-  
სი ამ ქვემოტე მოუხანილკითხვებზე:

1. გრძელი მოთხრობის კითხვა უფრო გიევართ  
თუ მოკლესი?
2. რა უფრო გირჩევნიათ — მოთხრობა სულ ერთ  
წიგნში (ნომერში) იეოს მოთავსებული თუ რამდენი-  
მეში გაგრძელდეს?
3. რა უფრო გიევართ მოთხრობები თუ სამეც-  
ნიერო ამბები?
4. რა გვარი მოთხრობები უფრო გიევართ: ემა-  
წილეებისა თუ დიდრონების ცსოვრებოდას, ზღაპრები  
თუ იგავები?
5. მხიარული მოთხრობები უფრო გიევართ თუ  
სამწუსარო?
6. რომელი მოთხრობები უფრო მოგეწონათ  
„ჯეჯილში“ და რატომ?
7. რომელი შინაარსის სამეცნიერო ამბები უფრო  
მოგეწონათ: ბუნების მეტყუელებიდან, მოკსაურობა, თუ  
ბიოგრაფია შესანიშნავი კაცებისა ..
8. რა გვარი მოთხრობები გინდათ რომ დაი-  
ბეჭდოს „ჯეჯილში“ მომავალ წელს?



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

9. როძელი აძბები მოგეწონათ ისე, რომ რაბა დენჯერძე გადიკათსეთ? უკითხავთ ან უამბობთ თუ არა „ჯეჯილიდან“ ან თქვენ ჰატარა და ძმებს, ან მეგობრებს და როგორ მოსწონთ მათ?

10. რითი ერთობით ხოლმე?
11. გიუვართ წიკნების კითხვა?
12. თქვენ წაკითხულში, როძელი წიკნი უფრო მოგეწონათ?
13. რამდენი წლისა ხართ?
14. სადა სცხოვრობთ სამთარ-საფსულ?
15. გუავთ დედ-მამა? რამდენი ხართ ოჯახში?
16. სადა სწავლობთ?
17. თქვენი აძხანაკები კითხულობენ თუ არა „ჯეჯილს“?
18. თქვენი სახელი და გვარი?
19. თქვენი ბინის მისამართი?



გამოცანები.

ფეხზედ ვდგევარ მე ამაყათ, არე-მარეს ვუცქერ ღბენით, ყველასთვის ერთი გული მაქვს, არვის ვესალმები წყენით. ვინც მოწიწებით მეწვევა, მას ავავსებ სურნელებით და ვინც მტრულათ დამეცემა, მას მე მოვიგერებ კბენით.

ვეძებ რაც არ დამიკარგავს, არ მენახა—დავიჭირე, გავცივდი და ავთ გავხდი, საქმე რისთვის გავიჭირე.

ბოლოზე ხელი მომავლეს, კლავზე დამადგეს ფეხიო, პირით მიწა მათხრევიწეს, მე ამას არა ვკვებიო.




საქართველო  
საქართველო

ანდო ნოდ ესი დამოქმედ. ინებსე ადუხლონ  
 გოგო, რისთვის ხარ მოწყენით,  
 წო თბონენ მე დამოლონ? ანთსაწიგგე ნბლგდმდ  
 სამსხე თათრისა გგონია?  
 -ბოგენ შკკონ გვიწმე თუ რაე  
 აწყურით გაგზგონია დამოქმედ ბოგოლ ჰე შნტლ

რ ე ბ უ ს ი  
 (შოი მღვიმელის ლექსებიდან)  
 ზეგთიგ შინებეილ თბეწიგ



მ ლ ნ  
 ?ლუქდემ შოჯანებ დბოლოქმუპ ჰეაბ .41



მ ე ს  
 დმ მტბოქმეცთაიგ სე დმშბ სე მსლგვ  
 ზიბნეგ ჰე ლუქმ ლამეს რა მოსლგვ  
 ზიბოზხშინ შიძინ იმეწლო 81



სიძველით  
 პურს რა  
 ვკილება?



რას ნაძრახსა  
 სჯობია სიკ-  
 ვლილი სახე-  
 ლოვანი?



საველი  
 სახელი  
 მ მ  
 მ



ვინც პირველათ ამ რებუსს გამოიცნობს, იმას საჩუქრათ  
 გაეგზავნება წიგნი: თუ ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა — თომბა  
 ელისონი. . . . .



იგივე ნებთა ცეშობდგეთ ძანოჯა

ძანმეწინეთ რა ძეგონეთ ქუეგო

# კ უ რ ლ ე ლ ი

ძანმეწიწინთნიგ ძიეცტ

ქობაძე ცნ ითეძლინ რცე

ეთდცნ და მთა იოთახ

რცეცე

მეც

რცე ძანმეწობდგ

მეიობდგე ცოთობდგე

მეიობტენთეგე ცენი

იფბეგენიგ ძაბ იგეტცმ

იეცბ თიუეგო დაბნიწნ-რცე

მეიუმ რაძეგეთ თიბ ცმობიუმ

ერ-სერ დაბლა ჩამოვობოლი

ყუნცულითა, ცანცალითა,

თათებით თვალს ვიწმენდავდი

ხან ორით და ხან ცალითა,

რა ჩამოვცდი ტყის ნაპირებს,

ველიც ჩამოვიფურფურე,

ფრთხილათ ყურებს აცქვეტილმა

ბაღჩა-ბაღებს მივაშურე ბუნდუწინ ცენი ცესი

მსურდა ქორფა ლობოთი

ყუჩი ჩამეკოკლოზინა,

და ნელ-ნელა ბინისაკენ

ისევ სერ-სერ ამერბინა,

მაგრამ დახეთ ჩემს გამწყარალ ბედს,

დავინახე მტებბარი;

შემეშინდა, ავკანკალი,



ისე გაეხდი როგორც მკვდარი.

და ვიფიქრე: ამ დაგეშინს

პატრონიც თან ეყოლება,

გამოცდილს და გაწაფულსა

თოფიც მარჯვეთ ექონება.



სჯობს დავბრუნდე, თორემ ვიცი  
 თვალს დამკრავს, არ დამიწუნებს;  
 სასიკვდილოთ დაუნდობარ  
 ტყვიას გამომიწუნებ.

ვერ მიუხვდი, მე საბრალო,  
 ძალლი რატო არა ჰყეფდა,  
 გატვრენილი მონადირე  
 თურმე ტყვიას მიმიზნებდა.


გაბრუნება ვერ მოვასწარ,  
 თოფი მართლაც აგრიალა,  
 წინა ფეხებ მომტვრეული  
 იქვე გადამატრიალა.

ნეტავი რას გიშავებდი  
 გულ-მშიშარა, თვალით ბეცი,  
 ნადირზე რით დგებარ მაღლა,  
 რით არა ხარ მხეცზე-მხეცი?!

ეჰ, ერთმანეთს რო არ ინდობთ,  
 მე რაღა კარგს დამაყრიდი...  
 ვკვდებოდი და ჩემთან ერთად  
 მეტყველების დღესაც ვთვლიდი.

ტიალ შავი მიწისათვის  
 ხმალ-ხანჯლით რომ იწვდებიან,  
 და რისთვისაც არ იბრძვიან,  
 ისევ იქვე მიწდებიან!..


შიო მღვიმელი.





# საშობაო საჩუქრები.

(ედისონ გიბსონისა)



— აი კიდევ მოვედიო, პარდ!  
 — წამოიძახა კენ ისბორნმა. ის მოწყენილი შესცქეროდა მიმავალ მატარებელს, რომელმაც ეს არის ეხლა გადმოსვა ისინი მთიან ადგილას, პატარა მიყრუებულ სადგურზე.

პარდ—ჰკვიანი შოტლანდიის ჯინშის სამცხვრო ძალდი იყო; ცოცხალი მოელვარე თვალებით, დაკვირვებით შესცქეროდა თავის 15 წლის ძალზე გამხდარ მეგობარს.

კენი ქრისტიშობის თვის სუსხიან ქარისგან კანკალებდა. გაყინულ და თოვლით დაფენილ მთებიდან მძაფრი ქარი მოჰქროდა. ბავშვის ფერმკრთალ სახეზე უკმაყოფილება გამოიხატა, როდესაც მიყრუებულ სადგურზე მიიხედ-მოიხედა და ვერაფერს დაინახა.

— არავინ არ დაგვიხვდა, პარდ,—სთქვა მან და ძალღს მიუბრუნდა, რომელიც კუდს იქნევდა,—იქნება იმას ჩვენ იყვანა არც კი სურს; არაფერი არ მოიწერა, მარტო ბიძა გი დარწმუნებული იყო, რომ უარს არ გვეტყვის. დღეს შობის წინა ღამეა. მე და შენ, პარდ, სრულებით მარტოკანი ვართ...და ყმაწვილს თვალში ცრემლები მოადგა, ძალღს მოეფერა და ხელი გადაუსვა. პარდმა პასუხათ თანაგრძნობით დაიყეფა.

— შენ, ყმაწვილო, ვისმე ელი?—ჰკითხა მომავალმა რკინის გზის მოხელემ.

-- დიახ,—უპასუხა ცოტათ შერცხვენილმა კენმა,—ჩვენ ბატონ ჯიმ მორლეის ველით.

— შენ იმის ნათესავი ხარ და იმასთან საშობაოთ სტუმრათ მოხვედი?



— არა...ა... იმისი სახლი აქედან შორს არის? ერყინული  
ბიჭულიოთი

— ათი მილი იქნება ზემოთ აღმართზე, რენბოუსის ხეობაში, — სთქვა მოხელემ და ყმაწვილი აათვალ-ჩაათვალიერა — მორღეი დღეს არ ჩამოსულა. შენ აქ სადღესასწაულოთ მოხვედი?

— არა, ჩვენ აქ საცხოვრებლათ მოვედით, თუ კი მორღეი მიგვიღებს, — უბასუხა კენმა.

— განა თქვენ სხვა საცხოვრებელი ადგილი არა გაქვთ, მორღეის მიყრუებულ სადგლის მეტი? — ჰკითხა მოხელემ.

— არა, მე ქვეყანაზე არაფერ არა გყავს. დედ-მამა დამეხრცა, ბიძა გიცამხუთი დღის წინათ მოკვდა, — სთქვა კენმა და თვალებში ცრემლები მოადგა. — მე და პარდი სრულინათ ომლათ დაფრით. ძალუა იქ დარჩენასა მთხოვდა, მაგრამ პარდის დატოვება კი არ სუნდოდა. ძია გი ბატონ მორღეის სანამდის აქ დასახლდებოდა კარგათ იცნობდა, ამიტომ ექმას (სთხოვა, იმისთვის მოეწერა, რომ მე და პარდი) იმის ფარეხში სამუშაოთ გვგზავნის. ცოლეს ასევე დედა თხოვდა.

— თუ ბებერ მორღეისთან იცხოვრებ — მუშაობით ჯანს გაგვადლებინებს, — უთხრა მოხელემ, — ის უნდა აქვთ, რაც აქ გადმოსახლდა, ძალიან გამოიცვალა. სხლა ძალიან ბევრს სვამს და თავის თანამოძმეებს ძალიან სანტიკათ ეპყრობა. ამას გარდა, ის სუსტს მუშას არ გაიკარებს. დაღუბა მოხელემ და კენის გამხდარ ხელ-ფეხს და დაგლიჯილ ტანისამოსს შესცქირა.


— არა უშავს-რა, ყველაფერს კარგათ ავასრულებ, როდესაც მთებზე ცოცვას და ცხვრების მოვლას მომანდობენ! — არწმუნებდა კენი მოხელეს, რადგან იმან იმის სიგამხდრეს ყურადღება მიაქცია, — ძია გი ოთხთვეს ავადმყოფობდა, მე უვლიდი და სრულებით ჰაერზე არ გამოავსუოვარ. სიკვდილის წინათ ძიამ მიბრძანა, რენბოუსის ხეობაში წამოვესულოყავინს დარწმუნებული იყო, რომ მორღეი დიდის სიამოვნებით ამიყვანს მე და კარგ ძალოს, რომელიც იმის ცხვარს ღუდა რაჯებს. მეც წინათ ფარეხში ვმუშაობდი და ძალომაც თავი სი საქმე ზედმიწევნით იცის.

— სწორე გითხრა, ყმაწვილო, ძალიან მეცოდები, თუ მორღეის ხელში ჩაუვარდები. პატარა მოძიკადე, მოხელე

სახქვართოესადაგურის ბერდოსა მეორე მხარისაკენ წავიდნა და  
 ერთმოხუცტელესს, რომელიც მხარხილთან ცელქისს წინ ფრას  
